ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4556844

ნომერი: AR1686279

თარიღი : 18.06.2019

გაცემის თარიღი : 21.06.2019

გაცნობის თარიღი : 24.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, N 31;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კირკიტაძე პ/ნ 21001003577
- ვაჟა ფშაველას 23 ბ 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
წარმოდგენილი იქნას დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი (დათარიღებული სახით), საკადასტრო გეგმაზე კონტურის სახით მოინიშნოს სარეკლამო ბანერის განთავსების ადგილი (ორთოგონალური პროექცია);

გაითვალისწინეთ: ვინაიდან ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში წარმოდგენილ იქნეს სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით , რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 100% და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100%. იმ შემთხვევაში თუ არ გსურთ კრების ოქმის წარმოდგენა საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ყველა ფართის ამონაწერი და მათ მესაკუთრეებთან დადებული ნასყიდობის ყველა ხელშეკრულება თუკი წინასწარ თანხმობას ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულებები ამავე დროს საჭიროა განახლდეს მიწის ნაკვეთის ერთიანი ამონაწერი და მითითებულ იქნეს დღევანდელი მდგომარეობით ყველა მესაკუთრე. ასევე გაითვალისწინეთ, რომ 01.13.03.029.025.01.02.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე მითითებულია უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი 2018 წლის პირველი ოქტომბრის და 3 ოქტომბრის ხელშეკრულება და განცხადებაზე წარმოდგენილია მხოლოდ პირველი ოქტომბრის საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამი ოქტომბრის ხელშეკრულებაც. წარმოდგენილი მინდობილობა არაა მისაღები არაა სათანადო წესით დამოწმებულ ი(წარმოდგენილ იქნეს ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე ან ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული) და არ ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.